



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამბროზია



ამბროზია

ამბროზია (Ambrosia), ერთ ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა.

აქვს 20-იდან 300 სმ-მდე სიმაღლის ღეროები და ფრთისებრ ან თათისებრ დანაკვეთილი ფოთლები. ა. ჩრდილოამერიკული გვარია; გვარში 35-40 სახეობაა. საქართველოში იზრდება გზადმოყოლილი 3 სახეობა: ავშანფოთოლა ა. (*A. artemisiifolia*), სამნაკვეთიანი ა. (*A. trifida*) და *A. Apter*; მათგან სამნაკვეთიანი ა. და *A. Apter* ჯერჯერობით მხოლოდ აფხ. ზღვის სანაპირო ზოლის რუდერალური ადგილებიდანაა ცნობილი, ხოლო ავშანფოთოლა ა. აფხაზეთის გარდა გვხვდება გურიასა და იმერეთში, ქართლსა და კახეთში; ეს სახეობა უხვად ივითარებს თესლს და სწრაფად ვრცელდება.

მეტად აბეზარი საკარანტინო სარეველაა. ა-ის მტვერი იწვევს დაავადებას, რ-იც თივისმიერი ცხელების სახელით არის ცნობილი.

დ. ხინთიბაძე
